



2600 Fugaflex

აღწერა

მაღალეფექტური, ელასტიური წაგლესა ნაკერებისთვის, ცემენტის ფუძეზე, განკუთვნილია 6-20 მმ ნაკერებისთვის.

გამოყენების სფერო

- გამოიყენება შიდა და გარე მსხვილგაბარიტიანი მოსაპირკეთებელი მასალების, როგორცაა კერამიკა რუსტიკულ სტილში, გრანიტი, კოტო, კლინკერი, მარმარილო, ბუნებრივი ქვა, 6-20 მმ-იანი ნაკერების შესავსებად,
- გამოიყენება ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ზედაპირებზე ნესტიან ადგილებში, როგორცაა საცურაო აუზები, წყლის ავზები.
- იძლევა შესანიშნავ შედეგს ისეთ ადგილებში, სადაც არის ინტენსიური საქვეითო და სატვირთო მოძრაობა და ტემპერატურის უეცარი ცვლილებები, როგორცაა ფასადები, ტერასები, იატაკქვეშა გათბობის სისტემები, საწყობები.

თავისებურებები

- გამოიყენება სასმელი წყლის ავზებში.
- გააჩნია მაღალი ელასტიურობა.
- მდგრადია გაყინვა-გაღობის ციკლების მიმართ.
- გააჩნია დაბალი წყლის შთანთქმა.
- უზრუნველყოფს ზედაპირს რუსტიკულ სტილში.
- მდგრადია აბრაზიის მიმართ.
- არ იბზარება.
- სწრაფად მკვრივდება, რაც საშუალებას იძლევა დაიწყოს ექსპლუატაცია უმოკლეს დროში.
- ხელმისაწვდომია 12 სხვადასხვა ფერის ვარიანტში, რომლებიც მდგრადია ულტრაიისფერი გამოსხივების და ატმოსფერული ზეგავლენის მიმართ.

ზედაპირის მომზადება

- ზედაპირი უნდა იყოს სუფთა, მშრალი, ერთგვაროვანი, თავისუფალი ზეთებისა და ცხიმისგან, მტვრისა და ფხვიერი ნაწილაკებისგან.
- დარწმუნდით, რომ ნაკერები მშრალი, სუფთა და მყარია.
- აუცილებელია ნაკერებისა და ჩაღრმავების ზედაპირიდან მტვრის, ჭუჭყისა და ცემენტის ნარჩენების მოცილება, რომლებიც აფერხებენ ადჰეზიას.
- ნაკერები ცარიელი უნდა იყოს ფილების სისქის მინიმუმ 2/3-ით.
- წებო ან ხსნარი, რომელიც გადმოვიდა ნაკერებიდან ფილების დაკრობის დროს, უნდა გაიწმინდოს, სანამ სველია.
- ისეთ შემთხვევებში, როგორცაა მაღალი აბსორბციის მქონე ფილები, მაღალი ტემპერატურა ან ქარიანი ამინდი, ნაკერები უნდა დატენიანდეს სუფთა წყლით.

გამოყენების ინსტრუქცია

- წაგლესის გამოყენებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ წებო გამკვრივდა.
- Fugaflex ნელ-ნელა ჩაყარეთ წყალში, ტექნიკურ ცხრილში მითითებული პროპორციით, და არიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე, დაბალი სიჩქარის მიქსერის გამოყენებით. არ დაამატოთ ნივთიერებები, რომლებიც არ არის მითითებული გამოყენების ინსტრუქციაში. მითითებულზე მეტი ან ნაკლები წყლის დამატებამ შეიძლება გამოიწვიოს ბზარების გაჩენა, მტვრის წარმოქმნა და ფერის დეფექტები.
- მომზადებული ხსნარი უნდა დაყოვნდეს 5-10 წუთის განმავლობაში. გამოყენებამდე კვლავ არიეთ 1-2 წუთის განმავლობაში.
- მომზადებული ხსნარი გამოიყენეთ 1 საათის განმავლობაში.
- გაანაწილეთ ხსნარი ზედაპირზე, რეზინის შპატელის გამოყენებით შეავსეთ ნაკერები განივი მოძრაობებით და გადაფხვით ზედმეტი მასა ზედაპირიდან.
- როდესაც ნაკერებში ჩასხმული მასალა წყალს კარგავს და უფერულდება, როგორც წესი, 10-20 წუთის შემდეგ ზედაპირი უნდა გაიწმინდოს ნესტიანი ღრუბლით წრიული მოძრაობით. ეს პერიოდი შეიძლება შემცირდეს შეუსაბამო გარემო პირობებში გამოყენებისას, როგორცაა მზის პირდაპირი სხივები და ქარი, მაღალშთანთქმედი მოპირკეთების მასალებზე გამოყენებისას ან მზეზე ლოდინის დროს. გაუფერულების პრობლემა შეიძლება წარმოიშვას ნაადრევად გაწმენდისას ან ზედმეტად სველი ღრუბლის გამოყენებისას. ღრუბელი ხშირად უნდა გაირეცხოს.
- მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ Fugaflex საკმარისად მშრალია და არ გადმოდის ნაკერებიდან, ზედაპირზე არსებული ნარჩენები უნდა გაიწმინდოს მშრალი ქსოვილით.



2600 Fugaflex

მოვლა და გამოყენების შემდგომი რეკომენდაციები

- გამოყენებამდე ზედაპირი დაცული უნდა იყოს Seracare Surface Protector საშუალებით, რათა ფოროვანი და შთანთქმელი ზედაპირები, როგორცაა კოტო, კლინკერი, მსუბუქი გრანიტი, კერამიკა, არ დაზიანდეს შემავსებლის ნარჩენებით.
- თუ არასათანადო გაწმენდის გამო ზედაპირზე დარჩა ხსნარის ნარჩენები, გასაწმენდად შეგიძლიათ გამოიყენოთ Seracare Cement Remover, ხსნარის გამოყენებიდან 10 დღის შემდეგ, გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად.
- ვადაგასული ან ქერქიანი ხსნარი უნდა გადაადგოთ.
- გამოყენების შემდეგ დაიბანეთ ხელები და გარეცხეთ ხელსაწყოები წყლის დიდი რაოდენობით, სანამ Fugaflex ჯერ კიდევ სველია.
- როდესაც Fugaflex გამოიყენება ძალიან ცხელ, მშრალ და ქარიან პირობებში, რეკომენდირებულია მისი წყლით დატენიანება დატანიდან რამდენიმე საათის შემდეგ საბოლოო შედეგის გასაუმჯობესებლად.
- ხარჯი ნაჩვენებია ზოგადი ინფორმაციისთვის. ის შეიძლება განსხვავდებოდეს გამოყენების პირობებისა და ზედაპირის თავისებურებების მიხედვით.
- ვინაიდან მასალა ცემენტის ფუმეზეა, არ შეისუნთქოთ მისი მტვერი და მოერიდეთ კონტაქტს კანთან და თვალებთან. უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ უსაფრთხოების პასპორტი.

შენახვა

- შეინახეთ +5°C-დან +35°C-მდე ტემპერატურაზე, მზის პირდაპირი სხივებისგან დაცულ ადგილას.
- დაიცავით წყლისგან, ყინვისა და ამინდის მძიმე პირობებისგან.
- დასაწყობება შეილება მაქსიმუმ 10 იარუსად.
- ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, შენახვის ვადა შეადგენს 12 თვეს

შეფუთვა

- 20 კგ კრაფტ-ტომარა
- 5 კგ პოლიეთილენის ტომარა
- 1 კგ პოლიეთილენის ტომარა



ხარისხის სერტიფიკატები

კლასი CG2WA სერტიფიცირებული TS EN 13888.

C: ცემენტის ფუმეზე

G: წაგლესა ნაკერებისთვის

2: გაუმჯობესებული

W: დაბალი აბსორბცია

A: მაღალი მდგრადობა ცვეთის მიმართ

აქვს სასმელ წყალთან კონტაქტში მყოფი პროდუქტების შესაბამისობის სერტიფიკატი BS 6920 სტანდარტების შესაბამისად, გაცემული ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის დოპინგის კონტროლის თურქული ცენტრის ქიმიური ანალიზის ლაბორატორიის მიერ.

ხარჯი

კერამიკული ფილის ზომა	ნაკერის ზომა			
	2 მმ	3 მმ	4 მმ	6 მმ
10x10 სმ	400-550 გრ/მ ²	600-800 გრ/მ ²	800-1100 გრ/მ ²	1200-1600 გრ/მ ²
20x20 სმ	200-300 გრ/მ ²	300-400 გრ/მ ²	400-550 გრ/მ ²	600-800 გრ/მ ²
30x30 სმ	150-200 გრ/მ ²	200-300 გრ/მ ²	300-350 გრ/მ ²	400-550 გრ/მ ²
60x60 სმ	100 გრ/მ ²	100 გრ/მ ²	200-300 გრ/მ ²	200-300 გრ/მ ²



2600 Fugaflex

ტექნიკური მახასიათებლები

(23°C და 50% ფარდ. ტენიანობის პირობებში)

ზოგადი მონაცემები

შენახვის ვადა	12 თვე გაუხსნელ შეფუთვაში მშრალ ადგილას
იერსახე	თეთრი ან ფერადი წვრილი ფხვნილი

ინფორმაცია გამოყენებისთვის

სამუშაო ტემპერატურა	(+5°C) - (+35°C)
ნარევის პროპორციები	4 – 4.4 ლ წყალი / 20 კგ ფხვნილი
ხსნარის ვარგისიანობა	1 საათი
ექსპლუატაციაში შეყვანის დრო	1 დღე
ხარჯი	იხილეთ წაგლესის ხარჯის ცხრილი

ინფორმაცია სამუშაო მახასიათებლებზე

ნაღუნის სიმტკიცე (EN 12808-3)	≥ 2.5 მპა (ნ/მმ²)
ნაღუნის სიმტკიცე გაყინვა-გაღებვის ციკლის შემდეგ (EN 12808-3)	≥ 2.5 მპა (ნ/მმ²)
შეკუმშვის სიმტკიცე (EN 12808-3)	≥ 15 მპა (ნ/მმ²)
შეკუმშვის სიმტკიცე გაყინვა-გაღებვის ციკლის შემდეგ (EN 12808-3)	≥ 15 მპა (ნ/მმ²)
მდგრადობა ცვეთის მიმართ (EN 12808-2)	≤ 1000 მმ²
ჩაჯდომა (EN 12808-4)	≤ 3 მმ/მ
წყლის შთანთქმა 30 წთ/4 სთ (EN 12808-5)	≤ 2 გრ / ≤ 5 გრ
თბომდეგობა	(-30°C) - (+80°C)

აქ მოცემული გამოყენების ყველა რეკომენდაცია და ინსტრუქცია ეფუძნება ჩვენს გამოცდილებას. კომპანია არ არის პასუხისმგებელი გამოყენების ყველა ფორმაზე, რომელიც დაკავშირებულია პროექტის პირობების ცვლილებასთან. აქ რეკომენდებული მეთოდები არ ათავისუფლებს მომხმარებელს პროდუქტის შესაბამისობის დადგენის პასუხისმგებლობისაგან, პროექტის დეტალების გათვალისწინებით.